საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი. ფულის დამზადებისა და გამოშვების უფლება სწორედ ეროვნულ ბანკს მიენიჭა.

დაიწყო ეროვნული ვალუტის შექმნისათვის მუშაობა - რა რაოდენობით უნდა ყოფილიყო ფულის ნიშნები? რა ნომინალის? როგორი უნდა ყოფილიყო დიზაინი?

ეროვნული ვალუტისთვის სხვადასხვა სახელზე ფიქრობდნენ: "ქართული მანეთი", "მარჩილი", "ქართი", "რვალი" და "ლარი". საბოლოოდ კი, **„ლარი“ შეირჩა,** ხურდა ფულისთვის კი „თეთრი.“

სიტყვა "ლარი" ძველი ქართული სიტყვაა და განძს, ქონებას ნიშნავს, ხოლო "თეთრი" გამოიყენებოდა ძველი ქართული მონეტების სახელად.

შეიქმნა ლარის ბანკნოტებისა და მონეტების **დიზაინის ესკიზები.**

ფულის ნიშნების რეკვიზიტებთან ერთად **ბანკნოტებზე გამოსახულია** გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, კულტურული მემკვიდრეობის ფრაგმენტები და ხელოვნების ნიმუშები.

მონეტებზე კი - კულტურული მემკვიდრეობის ფრაგმენტები, წარწერები და ბორჯღალი (მზის სიმბოლო).

მიმოქცევაში გავიდა და გადახდის ერთადერთ საშუალებად გამოცხადდა საქართველოს ეროვნული ვალუტა „ლარი“.

უმნიშვნელოდ **შეიცვალა ლარის ბანკნოტები** - ცვლილება განიცადა ულტრაიისფერმა დამცავმა ნიშანმა და ასევე, მათზე დაიწერა „საქართველო“ და “Georgia”, ნაცვლად წარწერებისა „საქართველოს რესპუბლიკა“ და „Republic of Georgia”, როგორც ეს თავდაპირველ, 1995 წლის ბანკნოტებზე იყო.

ქრისტეშობის 2000 წლისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის აღსანიშნავად, ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა 10-**ლარიანი ბიმეტალის მონეტები** შეზღუდული რაოდენობით.

ამ მონეტებით ჩვეულებრივ შეიძლება გადახდა საქართველოს ტერიტორიაზე, თავისი ნომინალური ღირებულებით.

მცირედით შეიცვალა ლარის ბანკნოტები: დაემატა დამცავი ნიშნები, დიზაინში გამოყენებულ იქნა ინტენსიური ფერები, დაიხვეწა შრიფტი, გაუმჯობესდა ბანკნოტებზე არსებული გამოსახულებები და ფონები.

2002-2004

ლარის ბანკნოტების მეორე მოდიფიცირება

1 და 2 ლარიანი ხურდა ფულის სახით შემოვიდა მიმოქცევაში. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა ახალი, განსხვავებული **50 თეთრიანი მონეტაც** გამოუშვა.

მიმოქცევაში პირველად გამოვიდა 200-ლარიანი ბანკნოტი. მასზე ეროვნული გმირი - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი და სოხუმის ხედია გამოსახული, ასევე, შეიცავს წარწერებს აფხაზურ ენაზეც.

ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა ლარის სიმბოლო - ₾. ის ეფუძნება ქართული ანბანის ასონიშან ლასს - ლ. ერთთავიანი, მარტივი ლასის რკალზე ორი პარალელური ხაზის ჩამოსმით ვიღებთ სამთავიანი, სრული ლასის სტილიზებულ გამოსახულებას.

ეროვნულმა ბანკმა განაახლა ლარის ბანკნოტების როგორც დამცავი მექანიზმი, ისე დიზაინი და მათი გამოშვება ეტაპობრივად დაიწყო – ჯერ 20, 50 და 100-ლარიანების, მომდევნო წლებში კი 5 და 10-ლარიანი ბანკნოტების. მათ ერთიანი და თანამედროვე ვიზუალური სტილი აქვთ.

განახლებულ ბანკნოტებზე დარჩა ძველი ბანკნოტების ძირითადი თემატიკა, თუმცა განახლდა ფერები, დიზაინის ელემენტები, რომლებიც უკეთ ასახავს საქართველოს კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას და დაემატა თანამედროვე და მარტივად აღსაქმელი დამცავი ნიშნები.

2016-2019

განახლებული ლარის ბანკნოტები

ე.წ. **„ყვითელი“ 50 თეთრიანი** მონეტები ამოიღეს მიმოქცევიდან. მათი გადაცვლა ახლა მხოლოდ ეროვნულ ბანკში შეიძლება.

1 და 2 თეთრიანი მონეტები ამოიღეს მიმოქცევიდან. მათი გადაცვლა ახლა მხოლოდ ეროვნულ ბანკში შეიძლება.

1995 და 1999 წლების ლარის ბანკნოტები ამოიღეს მიმოქცევიდან. მათი გადაცვლა ახლა მხოლოდ ეროვნულ ბანკში შეიძლება.